საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ლალისყურში
მცხოვრები ინდივიდუალური მეწარმე

(ს/კ 01019015740) სოსო არჩემაშვილის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო ნინო

გაცნობებთ, რომ თქვენი 27.07. 2018 წლის N6525 წერილით განსაზღვრულ ვადაში ვერ შევძელით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა, რის გამოც განმეორებით წარმოგიდგენთ თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ფშაველის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი ი/მ სოსო არჩემაშვილის თევზსამეურნეო ტბორების მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის 9.9 ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩემს მიერ განხორციელებული მიმდინარე საქმიანობა ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური მეწარმე სოსო არჩემაშვილის სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქმიანობის გაგრძელების თაობაზე.

წერილს თან ერთვის:

- თელავის მუნიციპალიტეტში სოფ. ფშაველის ტერიტორიაზე არსებული თევზსამეურნეო ტბორების მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 24 ნაკვეთის შესახებ;
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თამარ საღირიძის მიერ დავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენების უფლების მისი მეუღლის სოსო არჩემაშვილისათვის გადაცემის თაობაზე;
- ამონაწერი არა სამეწარმეო რეესტრიდან ი/მ სოსო არჩემაშვილის რეგისტრაციის თაობაზე;
- ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები CD დისკზე - 1 ეგზემპლიარი.

პატივისცემით,

ი/მ სოსო არჩემაშვილი

(ს/კ 01019015740)

15.10.2018წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 13490
"18" 10 2018
02